საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №248

ქ. თბილისი "04" 03 2008 წ.

Ш.პ.ს. „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს Ш.პ.ს. „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქიზიყის ქ. №21-ში „ნავთობპროდუქტების საცავების განთავსება"-ზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №13; 22.02.08წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, დინარა ჩუბინიძის მოხსენებითი ბარათი.

ზაალ გამცემლიძე
მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, გულუას ქ.ნა, 72 72 08, ფაქსი: 72 72 60

ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

_____ დინარა ჩუბინიძე
(სახელი, გვარი)

_____
(ხელმოწერა)

ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ ___13___

"__22__" ____02____ 2008 წ

1. პროექტის დასახელება – ნავთობბაზის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.
2. ინვესტორის დასახელება და მისამართი – შ.პ.ს. „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება", ქ. თბილისი; ქიზიყის ქ. №21;
3. განხორციელების ადგილი – ქ. თბილისი; ქიზიყის ქ. №21;
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 31.01.08.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შ.პ.ს. „თი ენდ ბი";

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შ.პ.ს. „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია: „ნავთობბაზის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“.

აღნიშნული საწარმოზე 2000 წლის 27 მარტს გაცემულ იქნა „გარემოსდაცვითი ნებართვა“ №0005, რომელსაც გაუვიდა მოქმედების ვადა. ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა განეკუთვნება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებულ საქმიანობას, აღნიშნულ ობიექტზე გაცემულ უნდა იქნას გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

აღნიშნული საწარმო, რომლის მიმდებარე ტერიტორია შეადგენს 1,5 ჰა-ს, მდებარეობს ქ. თბილისში, სამრეწველო ზონაში, ქიზიყის ქ. №21. წარმოდგენილი ნავთობბაზა საცხოვრებელი მასივიდან დაშორებულია 150 მეტრი მანძილით. მისი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების საცავების განთავსება, სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტის მიღება-შენახვა და გაცემა-რეალიზაცია. საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ნავთობპროდუქტების საცავების ტევადობა შეადგენს 1700 $მ^3$-ს ხოლო წლიური ტვირთბრუნვა 23000 ტონას. აქედან 11 500 ტონა ანუ 15750 $მ^3$ შეადგენს ბენზინს, ხოლო ასევე 11500 ტონა ანუ 13850 $მ^3$ დიზელის საწვავს. ობიექტის ფუნქციონირება დაგეგმილია განუსაზღვრელი ვადით.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია გარემოდაცვითი საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები, აღწერილია გარემოს არსებული მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, ფიზიკურ გეოგრაფიული დახასიათება, ტემპერატურული და ქარის რეჟიმი, ნალექები. შესწავლილია გარემოს ფონური მდგომარეობა, საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში გარემოზე ზემოქმედების სახეები, განსაზღვრულიავავარიული სიტუაციების წარმოქმნის ალბათობა და შესაძლო შედეგების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის შესაძლებლობები.

ნავთობბაზის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სარეზერვუარო პარკის, ნავთობპროდუქტების ჩამოსასხმელი მილსასდენის, ნავთობპროდუქტების სატუმბოს, გამწმენდი ნაგებობების (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული და სანიაღვრე წყლების), ადმინისტრაციული პერსონალისთვის და საყოფაცოვრებო დანიშნულებით შენობა-ნაგებობების, საწვავის გასაცემი ხადგურის, ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების ობიექტების, რკინიგზის ლიანდაგის ჩიხის, სატრანსფორმატოროს და საგენერატოროს მოწყობა, ასევე ავტოგზის და ტერიტორიის კეთილმოწყობა და მისი გამოყენება-სარგებლობის ორგანიზება.

ნავთობბაზის ტერიტორიაზე არსებობს ავტომანქანების შესასვლელი გზა, ასევე რკინიგზის ჩიხი, სადაც განთავსდება ვაგონცისტერნების დამცლელი მოწყობილობები. აღნიშნული ჩიხი ბაზის ტერიტორიაზე გადის გამჭოლად და ჩაკეტილია ნავთობსაწყობიდან 50 მეტრის მოშორებით.

ნავთობსაწყობში შემოსული ნავთობპროდუქტების დაცლა და სარეზერვუარო პარკში მისი ჩასხმა ხორციელდება სატუმბი სადგურით, რომელთანაც ერთ სახურავქვეშ განთავსებულია ელფარების სათავსი. ავტომანქანებზე საწვავის გაცემის აღრიცხვიანობის საწარმოებლად გათვალისწინებულია ინვენტარული ჯიხური.

სარეზერვუარო პარკი, რომელიც განთავსებულია მიწის ზევით, შედგება 5 რეზერვუარისგან: ორი 400 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარი დიზელის საწვავისათვის, ასევე ორი 400 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარი ბენზინისათვის და ერთი 100 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარი ბენზინისათვის. მათი ჯამური მოცულობა შეადგენს 1700$მ^3$-ს. ისინი დადგმულია რკინაბეტონის საძირკველებზე, მოშანდაკებული ზედაპირიდან 50 სმ-ის სიმაღლეზე. ყველა რეზერვუარი აღჭურვილი იქნება სასუნთქი კლაპანებით.

მომსახურე პერსონალის უსაფრთხო პირობების შექმნისათვის გათვალისწინებულია გადასასვლელი ბაქნები მოაჯირებით და ასასვლელი კიბებით. ყოველი რეზერვუარი აღჭურვილია საჭირო საექსპლუატაციო მოწყობილობებით. რკინიგზის ჩიხში ვაგონცისტერნების დასაცლელად ეწყობა მიმღები კოლექტორი სიგრძით 25 მ,

დიამეტრით 200 მმ, რომელიც უზრუნველყოფს 3 ცისტერნის ერთდროულ დაცლას. სატუმბ სადგურში რკინიგზის ვაგონცისტერნების დასაცლელად გათვალისწინებულია ფარდულის მოწყობა, რომელშიც დამონტაჟდება 30 $მ^3$/სთ წარმადობის ოთხი ურთიერთშემცვლელი ტუმბო, რომელიც შესაბამისად მოემსახურება საწვავის ცალკეულ სახეობებს. ავტოცისტერნებში ნავთობპროდუქტების გაცემა ხორციელდება კუნძულებიდან (3 კუნძული), რომელზეც განთავსებულია სპეციალური მექანიკური დგარები ნავთობპროდუქტების ჩამოსასხმელად. თითოეულ კუნძულზე მოეწყობა 30 $მ^3$/სთ წარმადობის გასაცემი ტუმბოები, რომლებიც მიერთებულია სატუმბ სადგურში მიმავალ მიმლსადენებს.

რეზევუარები, მილსადენები და მოწყობილობები შეიღებება კოროზიის საწინააღმდეგო საღებავით. სარეზერვუარო პარკის ირგვლივ იგეგმება 50 სმ სიმაღლის შემაღლების მოწყობა, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ლოკალიზაციის მიზნით.

დაგეგმილი საქმიანობის უზრუნველყოფა ძირითადი სანედლეულე რესურსებით, ელექტროენერგიით, სათბობით, წყალსადენ-კანალიზაციით, კავშირგაბმულობის საშუალებით ხორციელდება ქალაქ თბილისი არსებული სამომხმარებლო ქსელებიდან, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სქემების გათვალისწინებით.

ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევისთვის ნავთობბაზა აღჭურვილი იქნება 100 კვტ სიმძლავრის დიზელ-გენერატორით.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით გარემოს დაბინძურების უმთავრესი წყაროებია: ნავთობპროდუქტების რეზერვუარები, ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის სადგურები (უბნები), ავტომანქანების ცისტერნების ავსება, საკომპრესორო დანადგარები, ნავთობდამჭერი დანადგარები და დიზელგენერატორი.

დოკუმენტში განხილულია რეზერვუარების სასუნთქი მილიდან ატმოსფერულ ჰაერში ნავთობპროდუქტების გაფრქვევის ორი შემთხვევა: აორთქლება ნათობპროდუქტების შენახვისას და გამოფქვევა დაცარიელებული რეზერვუარების ავსებისას ან გახარჯული ნაწილის შევსებისას.

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ხდება ისეთი ნივთიერებებით, როგორიცაა: ნაჯერი ნახშირწყალბადები (C_1-C_5, C_6-C_{10} და C_{12}-C_{19}), ბენზოლი, ტოლუოლი, ეთილენბენზოლი, ქსილოლი, გოგირდწყალბადი, NO, NO_2, CO, SO_2 და ჭვარტლი. თითოეული მათგანისათვის გათვლილია გაფრქვევების ინტენსივობა და განსაზღვრულია გაფრქვევის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები.

სასმელ-სამეურნეო და დამხმარე მიზნებისთვის საწარმო წყალს იღებს ქ. თბილისის კომუნალური წყალსადენიდან. თბილისის წყალ-კანალიზაციის სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად წყლის ხარჯი შეადგენს 100 $მ^3$/თვეში.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით საწარმოში წარმოიქმნება საწარმოო ჩამდინარე: სამეურნო-ფეკალური ჩამდინარე, იატაკისა და ტერიტორიის რეცხვის შედეგად წარმოქმნილი და სანიაღვრე წყლები აქედან პირველი ჩაედინება საწარმოს ლოკალური კანალიზაციის სისტემაში, დანარჩენი ჩამდინარე წყლები გაივლის მოსკოვის კვლევითი ორგანიზაციის მიერ დამუშავებულ და ექსპლუატაციაში გამოცდილ ნავთობპროდუქტების შემცველი წყლების ლითონის გამწენდ სამსაფეხურიან ნაგებობას, რომლის წარმადობა შეადგენს 12.0 $მ^3$/სთ (3.3 ლ/წ).

წარმოდგენილ დოკუმენტში განხილულია ისეთი საკითხები როგორიცაა გარემოზე და სოციალურ ფაქტორებზე ზემოქმედების შესამცირებელი ღონისძიებები, გარემოსდაცვითი მონიტორინგის ორგანიზაცია, ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილების და უსაფრთხოების ზომები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები. ხანძარქრობისთვის ობიექტი უზრუნველყოფილი იქნება წყლის რეზერვუარებით და ქაფწარმომქმნელით.

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, წარმოდგენილ დოკუმენტში, საწარმოში მიმდინარე თითოეული ეტაპისათვის განსაზღვრულია

პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი. ასევე განხილულია შესაძლო ავარიული სიტუაციები და მათზე რეაგირების გეგმა და ღონისძიებები.

ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის მესამე თავს.

III. პირობები

1. ნავთობბაზის ფუნქციონირებისას დაწესდეს მკაცრი კონტროლი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინტენსივობაზე და ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ეფექტურობაზე.
2. ნავთობპროდუქტების რეზერვუარები აღჭურვილ იქნას გაფრქვევის შესამცირებელი საშუალებებით.
3. განისაზღვროს ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაში შეკავებული ნავთობპროდუქტების განთავსების ან/და უტილიზაციის საკითხი. ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმებულ იქნას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის სამსახურთან.

IV. დასკვნა

შ.პ.ს. „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ნავთობბაზის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“-ს მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის
კომისიის თავმჯდომარე:

ნათელა ხეცურიანი

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00111

კოდი M 0 1 „04" „მარტი" 2008 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი — შპს „ი.ვ. პროპროდუქტმომარაგება"
2. საქმიანობის მიზანი — ნაკოლოპროდუქტების საცავების განთავსება
3. განსახორციელებელი საქმიანობის აღგილმდებარეობა — ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N21
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია — შპს „თი ენდ ბი"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია — გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი — ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ოქმი N13; 22.02.08
7. ნებართვის პირობები — ნებართვა ძალაშია ეკოლ. ექსპერტიზის დასკვნით გათვალის. პირობებით შეს. პირობები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლოცენზიების და ნებართვების დეპარტამენტის ოფისის მოვალეობის შემსრულებელი

დავითი ჩოგბანიძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
1918 1943 2018

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები"
„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360

შპს „ი.ვ. - პურპროდუქტმომარაგება“
ქ. თბილისი, 0182, ქიზიყის ქ. №21
ტელ: (995 32) 71 38 39; 71 84 09

Ltd "I.V. - GrainProducts' supply"
21 Kiziki St, 0182, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 71 38 39; 71 84 09

№ 9 11 მაისი 2015 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრს
შპს „ი.ვ. - პურპროდუქტმომარაგება“-ს დირექტორის ვახტანგ იზორიას
(ს/კ: 208142605)
და შპს „სენტა პეტროლიუმი“-ს დირექტორის დავით მიმინოშვილის
(ს/კ: 205050273)

ერთობლივი განცხადება

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ *შპს „ი.ვ. - პურპროდუქტმომარაგება“-ზე* 2008 წლის 04 მარტს გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №00111, ქ.თბილისში, ისანი სამგორის რაიონში ქიზიყის ქ.№21-ში „ნავთობპროდუქტების საცავების განთავსება“-ზე

გვსურს აღნიშნული ნებართვა საკუთრებაში გადაეცეს შპს „სენტა პეტროლიუმი“-ს

შპს „სენტა პეტროლიუმი“ თანახმაა საკუთრებაში მიიროს აღნიშნული ნებართვა, შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა და ვალდებულება, რაზედაც ვაწერთ ხელს

პატივისცემით

შპს „ი.ვ. - პურპროდუქტმომარაგება“

---------- ვახტანგ იზორია

დირექტორი

შპს „სენტა პეტროლიუმი“

---------- დავით მიმინოშვილი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 8963
"13" 05 2015 წ

შპს „სენტა პეტროლიუმის“ ნებართვა.
595 30 72 37 (ბიუროს)

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060178767984115

ბრძანება №-328

ქ. თბილისი

18 / მაისი / **2015** წ.

შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „სენტა პეტროლიუმი“-ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის” შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ს ნავთობპროდუქტების საცავზე (თბილისი, ქიზიყის ქ. № 21) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „სენტა პეტროლიუმი“-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2008 წლის 22 თებერვლის № 13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „სენტა პეტროლიუმი“-ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ზე 2008 წლის 4 მარტს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №00111;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „სენტა პეტროლიუმი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „სენტა პეტროლიუმი“-ს დირექტორების ერთობლივი განცხადება, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი

გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N000144

კოდი MD1 „18" „05" 2015

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „ოთხი ენერგეტიკა"

2. საქმიანობის მიზანი
ელექტროენერგიის წარმოება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
თბილისი, ნიბლიის ქ. № 21.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
შპს „თი ენდ ბი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
ელექტროენერგიის მწარმოებლების რეგისტრის ამონაწერი

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 13; 22; 02.2008.

7. ნებართვის პირობები რეგისტრაციის მფლობელებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების უფლებამოსილების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი ელექტროენერგიის მწარმოებლების რეგისტრაციის ოპერატორი
(გვარი, სახელი, თანამდებობა) თამარი ჯანიაშვილი

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034

N 000144

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტროს
შპს „ ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“ დირექტორს ვახტანგ იზორიას
(ს/კ: 208142605)
და შპს „სენტა პეტროლიუმი“-ს დირექტორის დავით მიმინოშვილის
(ს/კ: 205050273)

ერთობლივი განცხადება

როგორც მოგეხსენებათ , საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „სენტა პეტროლიუმი“-ზე გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000144 18. 05. 2015წ.

გვსურს აღნიშნული ნებართვა უვადოდ საკუთრებაში გადავცეთ შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“-ს .

შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“ (ს/კ: 208142605) თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა. შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა, რაზეც ვაწერთ ხელს.

პატივისცემით

შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“

_____ ვახტანგ იზორია
დირექტორი

შპს „სენტა პეტროლიუმი“

_____ დავით მიმინოშვილი
დირექტორი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 3824
“ 2 “ 03 2016 წ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060188187618216

ბრძანება N0-135

ქ. თბილისი **11** / მარტი / **2016** წ.

შპს „სენტა პეტროლიუმი“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „სენტა პეტროლიუმი“-ს ნავთობპროდუქტების საცავზე (თბილისი, ქიზიყის ქ. № 21) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2008 წლის 22 თებერვლის № 13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „სენტა პეტროლიუმი“-ზე 2015 წლის 18 მაისს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000144;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სენტა პეტროლიუმი“-სა და შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სენტა პეტროლიუმი“-სა და შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა № 7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. № 6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000198

კოდი MD1 „11" „03" 2016

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
   ჯსს „ივ - ენერგოპროექტმშენებელი"
2. საქმიანობის მიზანი
   ნაგებობა-პროექტების სასყიდი
3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
   თბილისი, ქიბიყის ქ. №21.
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
   ჯსს „თი ენდ ბი"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
   გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი
   ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №13; 22.02.2008.
7. ნებართვის პირობები ნებართვა ზემოქმედების ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ექსპერტიზის ოთხი
(გვარი, სახელი, თანამდებობა) თანამშრომელი.

შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“

ქ.თბილისი, 0182, ქიზიყის ქ.№ 21
ტელ: (995 32) 71 38 39; 597 79 65 56

Ltd "I.V.-Grainproducts' sipply"

21 Kiziki St.0182 , Tbilisi. Georgia.
Tel: (995 32) 71 38 39;

№ 16 06.06. 2016 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის მინისტრს ბატონ გ. აგულაშვილს

შპს „ი.ვ.პურპროდუქტმომარაგება“-ს
(ს/კ 208142605) დირექტორის ვ.იზორიას
და შპს „ფრეგო“-ს (ს/კ 404440084)
დირექტორის რ. რამაზაშვილის

ერთობლივი განცხადება

გაცნობებთ , რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“-ზე 2016 წლის 11 მარტს გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 000198, ქ.თბილისში, ქიზიყის ქ.№ 21-ში განთავსებული ნავთობპროდუქტების საცავით სარგებლობაზე.

. გვსურს აღნიშნული ნებართვა გადაეცეს შპს „ფრეგო“-ს ჩვენ შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით (2017 წლის 27 თებერვლის ჩათვლით).

შპს „ფრეგო“ ითანახმაა შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა და ვალდებულება , რაზედაც ვაწერთ ხელს.

პატივისცემით,

შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“-ს
დირექტორი ვ.იზორია

შპს „ფრეგო“-ს
დირექტორი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 10987
06 06 2016

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060142517778816

ბრძანება No-290

ქ. თბილისი

14 / ივნისი / **2016** წ.

შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ფრეგო“-ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ს ნავთობპროდუქტების საცავზე (თბილისი, ქიზიყის ქ. № 21) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „ფრეგო“-ს;
2. ნებართვის გადაცემა განხორციელდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „ფრეგო“-ს 2016 წლის 3 ივნისის „ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით 2016 წლის 3 ივნისიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე;
3. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „ფრეგო“-ს 2016 წლის 3 ივნისის „ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის ან ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ვალდებულია მომართოს სამინისტროს განცხადებით, ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გადაცემის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
4. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2008 წლის 22 თებერვლის № 13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
5. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
6. 2016 წლის 3 ივნისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2016 წლის 11 მარტს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა #000198;
7. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „ფრეგო“-ს;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „ფრეგო“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა № 7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. № 6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000210

კოდი MD1 „14" „06" 2016

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
   შპს „ფერიედი"
2. საქმიანობის მიზანი
   ნაგებობა-ნაგებობათა ექსპლუატაციის საკალენდარო
3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
   თბილისი, ფილიპეს ქ. N 24.
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
   შპს „თი ენდ ბი"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
   გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი
   ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N 13, 22.02.2008.
7. ნებართვის პირობები ნებართვა ზემოქმედების ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა) გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ოფროსი თამარ ჯანიაური

ბ.ს.

204861943

შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“
ქ.თბილისი, 0182, ქიზიყის ქ.№ 21
ტელ: (995 32) 71 38 39; 597 79 65 56

Ltd "I.V.-Grainproducts' sipply
21 Kiziki St,0182 , Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 71 38 39;

№ 12 9 მარტი 2017 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის მინისტრს ბატონ გ.აგულაშვილს

შპს „ ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“-ს
(ს/კ: 208142605) დირექტორის ვ.იზორიას
მინდობილი პირის ლევან ფაღავას
(პ/ნ 01011090380) და შპს „ფრეგო“-ს
(ს/კ 404440084) დირექტორის
რ.რამაზაშვილის მინდობილი პირის
ვ.კბილაშვილის (პ/ნ 01015007636)

ერთობლივი განცხადება

გაცნობებთ რომ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“-ზე 2017 წლის 6 მარტს გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000240, ქ.თბილისში, ქიზიყის ქ.№21-ში განთავსებული ნავთობპროდუქტების საცავით სარგებლობაზე.

გვსურს აღნიშნული ნებართვა გადაეცეს შპს „ფრეგო“-ს ჩვენ შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით (2020 წლის 27 თებერვლის ჩათვლით).

შპს „ფრეგო“ თანახმაა შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა და ვალდებულება, რაზედაც ვაწერთ ხელს.

პატივისცემით,

შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“-ს	შპს „ფრეგო“-ს
დირექტორის ვახტანგ იზორიას	გენერალური დირექტორის რუსუდან რამაზაშვილის
მინდობილი პირი	მინდობილი პირი
/ლ.ფაღავა/	/ვ.კბილაშვილი/

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 4608
"13" 03 2017 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060175111420117

ბრძანება №-128

ქ. თბილისი **17 / მარტი / 2017 წ.**

შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ფრეგო“-ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ს ნავთობპროდუქტების საცავზე (თბილისი, ქიზიყის ქ. №21) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „ფრეგო“-ს;
2. ნებართვის გადაცემა განხორციელდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „ფრეგო“-ს 2017 წლის 9 მარტის „ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით 2017 წლის 9 მარტიდან 2020 წლის 27თებერვლის ჩათვლით;
3. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „ფრეგო“-ს 2017 წლის 9 მარტის „ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის ან ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ვალდებულია მომართოს სამინისტროს განცხადებით, ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გადაცემის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
4. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2008 წლის 22 თებერვლის №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
5. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2017 წლის 6 მარტს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა #000240;
7. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „ფრეგო“-ს;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „ფრეგო“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში(თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000242

კოდი MD1 „17" „03" 2017

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი

შპს „ოლიგეთი"

2. საქმიანობის მიზანი

ნაგებობა-ინფრასტრუქტურის სასაყენი

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა

თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №21.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია

შპს „თი ენდ ბი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №13; 22.02.2008.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ოპერატორი თაბარი სუროსაძე
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ბ.ა.

დამზადდა: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034

შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგება“
ქ.თბილისი, 0182,ქიზიყის ქ.№21
ტელ: (995 32) 71 38 39; 597 79 65 56

Ltd "I.V.-Grainproducts supply"
21 Kiziki St, 0182, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 71 38 39;

№ 27 19 სექტემბერი 2017 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის მინისტრს ბატონ გ. აგულაშვილს

ბატონო გიგლა,

თანახმად 2017 წლის № ი-128 ბრძანებისა 17 მარტს შპს „ფრეგო“-ზე ჩვენი თხოვნით გადაცემულ იქნა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოწმობა № 000242 კოდი: MD1 , რომელსაც ჩვენს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით (№4 27 თებერვალი 2017 წ.) ჰქონდა 3 წლიანი მოქმედების ვადა.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეწყვეტილ იქნა 06.09.2017 წ. შესაბამისად გთხოვთ, მ.წ. 19 სექტემბრიდან გაგვიფორმოთ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ახალი მოწმობა.

პატივისცემით,

დირექტორი /ვ.იზორია/

ტელ.: 597792882

საქართველოს სგ ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
17242

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060129848039817

ბრძანება №ი-685

ქ. თბილისი

12 / ოქტომბერი / 2017 წ.

„შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ფრეგო“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 17 მარტის №ი-128 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლისა და საქართველოს კანონის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ფრეგო“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 17 მარტის №ი-128 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ფრეგო“-ზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2017 წლის 17 მარტს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000242;
3. გაიცეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-ზე გარემოზე ზემოქმედების ახალი სანებართვო მოწმობა;
4. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „ფრეგო“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგება“-სა და შპს „ფრეგო“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი — სოლომონ პავლიაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N000288

კოდი MD1 „12" „10" 2017

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „ივ-ენერგოსერვისი"

2. საქმიანობის მიზანი
ნავთობგადამამუშავებელი საწყობი

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
თბილისი, ნინოშვილის ქ. N 21.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
შპს „თი ენდ ბი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N 13; 22.02.2008.

7. ნებართვის პირობები ნებართვა ზემოქმედების ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შეწყვეტამდე.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა) გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების ადმინისტრირების ოთხმოცდაერთი ელექტრონული ბიუროს ბიუროს ოთხმოცდაერთი

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-600

25/07/2018

ქ. თბილისი

შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „იბერკომპანიზე“ გადაცემის შესახებ

2018 წლის 12 ივლისს ერთობლივი განცხადებით მოგვმართეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“ და შპს „იბერკომპანის“ დირექტორებმა. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებამ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „იბერკომპანიზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“ ნავთოპროდუქტების საცავზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №13; 22.02.2008; თბილისი, ქიზიყის ქ. №21) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-478; 20.06.2018.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“ ნავთობპროდუქტების საცავზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უვადოდ გადაეცეს შპს „იბერკომპანის“;
2. შპს „იბერკომპანიმ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის №2-478 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. შპს „იბერკომპანი“ ვალდებულია უზრუნველყოს ყველა პირობის და ვალდებულების შესრულება, რაც გამომდინარეობს აღნიშნული საქმიანობიდან;

4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებასა“ და შპს „იბერკომპანის“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებასა“ და შპს „იბერკომპანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-342

15/04/2020

ქ. თბილისი

შპს „იბერკომპანიზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ გადაცემის შესახებ

2020 წლის 7 აპრილს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „იბერკომპანისა“ და შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ დირექტორებმა. შპს „იბერკომპანიმ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ ნავთოპროდუქტების საცავზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №13; 22.02.2008; თბილისი, ქიზიყის ქ. №21) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-478; 20.06.2018. 2018 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „იბერკომპანის“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „იბერკომპანის“ ნავთობპროდუქტების საცავზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უვადოდ გადაეცეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“;
2. შპს „ი.ვ.-პურპროდუქტმომარაგებამ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის №2-478

ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „იბერკომპანიზე“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 ივლისის №2-600 ბრძანება;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებასა“ და შპს „იბერკომპანის“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებისა“ და შპს „იბერკომპანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-541

29/06/2020

ქ. თბილისი

შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „მანიზე“ გადაცემის შესახებ

2020 წლის 12 ივნისს ერთობლივი განცხადებით მოგვმართეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ და შპს „მანის“ დირექტორებმა. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებამ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „მანიზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ ნავთოპროდუქტების საცავზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №13; 22.02.2008; თბილისი, ქიზიყის ქ. №21) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-478; 20.06.2018. 2018 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „იბერკომპანის“. 2020 წლის 15 აპრილს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „იბერკომპანისგან“ გადაეცა შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“. (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-342).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ ნავთობპროდუქტების საცავზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „მანის“;

2. შპს „მანიმ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის №2-478 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „იბერკომპანიზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 15 აპრილის №2-342 ბრძანება;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებასა“ და შპს „მანის“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებისა“ და შპს „მანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი